პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქალაქ ქუთაისში კონსტანტინე გამსახურდიას და სულხან-საბას გამზირი შემაერთებელი უსახელო მონაკვეთისა და ამ ტერიტორიაზე არსებული მოედნისათვის დავით ხახალეიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის,, ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი" 24 -ე მუხლის პირველი პუნქტის ,, ა" ქვეპუნქტის ,, ა.ე" ქვეპუნქტის , ,, მუნიციპალიტეტის ადმინისტარციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობისა და 2015 წლის 1-ლი ივნისის N 239 დადგენილებისა და გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის ნორმალიზების გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიულ ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის თანხმობის საფუძველზე.

მუხლი1. მიენიჭოს ქ.ქუთაისში კონსტანტინე გამსახურდიასა და სულხან-საბას გამზირის შემაერთებელი უსახელო მონაკვეთსა და ამ ტერიტორიაზე არსებულ მოედანს დავით ხახალეიშვილის სახელი.

მუხლი 2. დაევალოს ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს ბატონ იოსებ ხახალეიშვილს წინამდებარე განკარგულების მიღებიდან ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოფის ზემოთაღნიშულ მონაკვეთის სახელდებასთან დაკავშირებით კონკრეტული ღონისძიების განხორციელება.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით , ქ.ქუთაისის საქალაქო სასამართლოში საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა N 11) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

იოსებ ხახალეიშვილი

განმარტებითი ბარათი

ქ.ქუთაისში კონსტანტინე გამსახურდიას და სულხან -საბას ქუჩების შემაერთებელი უსახელო მონაკვეთისა და ამ ტერიტორიაზე არსებული მოედნისათვის დავით ხახალეიშვილის სახელის მინიჭების შესახებ განკარგულებით პროექტთან დაკავშირებით.

1. განკარგულების პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი.

ქ.ქუთაისში კონსტანტინე გამსახურდიასა და სულხან-საბას ქუჩების შემაერთებელი უსახელო მონაკვეთისა და ამ ტერიტორიაზე არსებული მოედნისათვის დავით ხახალეიშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით სქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის დადგენილებით დამტკიცებული წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ. განკარგულების პროექტის განხილვა და მასთან დაკავშირებით ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის N 147 განკარგულების მიღების აუცილებლობა განპირობებული იყო იმით, რომ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის პირთან დაკავშირებით სახელდება დასაშვებია ამ პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლის შემდეგ.

2. განკარგულების პროექტის ფინანსური დასაბუთება.

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ანუ ქ.ქუთაისში კონსტანტინე გამსახურდიასა და სულხან-საბას ქუჩების შემაერთებელი უსახელო მონაკვეთისა და ამ ტერიტორიაზე არსებული მოედნისათვის დავით ხახალეიშვილის სახელის მინიჭების შესახებ სამართლებრივი აქტის მიღება გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი სახრების გამოყოფას.

3. პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღებით, ქ.ქუთაისის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯები გაიზრდება დაახლოებით ..... ლარის ოდენობით.

4. განკარგულების პროექტის ავტორი:

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი იოსებ ხახალეიშვილი

5. განკარგულების პროექტის წარმომდგენი: ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის

ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოადგილე გენადი კუჭუხიძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი იოსებ ხახალეიშვილი

ოქმი N 17

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პატივგებისა და სახელდების მუდმივმოქმედი კომისიის 2021 წლის 17 დეკემბრის სხდომის.

დღის წესრიგი:

საკითხი: 1. ქ.ქუთაისში კონსტანტინე გამსახურდიასა და სულხან-საბას ქუჩების შემაერთებელი უსახელო მონაკვეთისა და ამ ტერიტორიაზე არსებული მოედნისათვის დავით ხახალეიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

მომხრე /გ.კოპალიანი/

აზრი გამოთქვეს: გ.კუჭუხიძემ, ა. ნიკოლეიშვილმა,ლ.როხვაძემ, გ.კიკვაძემ, მ.კეზევაძემ, მ.კვიცარიძემ.

დაადგინეს: კონსტანტინე გამსახურდიასა და სულხან-საბას ქუჩების შემაერთებელი უსახელო მონაკვეთისა და ამ ტერიტორიაზე არსებულ მოედანს მიენიჭოს ოლიმპიური ჩემპიონის ძიუდოში დავით ხახალეიშვილის სახელი. იმის გათვალისწინებით , რომ ბატონ დავით ხახალეიშვილს ქართული სპორტის , კერძოდ ძიუდოს განვითარების საქმეში განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის.იგი დაიბადა , გაიზარდა და ცხოვრობდა ამ მონაკვეთის მახლობლად ქ.ქუთაისში. აღნიშნული რეკომენდაცია გაეგზავნოს საკრებულოს შესაბამის კომისიას განსახილველად,რათა იგი შესათანხმებლად გაიგზავნოს გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენილ ნორმალიზებით, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დამდგენ სამთავრობო კომისიას.

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული პატივგებისა და სახელდების მუდმივმოქმედი კომისიის მდივანი:

გ.კუჭუხიძე

2021 წელი 17 დეკემბერი